



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



2378/4-8/21 2 18032021

2378/4-8/21

18-03-2021

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს,
ბატონ ვახტანგ გომელაურს

მისამართი: ქ. თბილისი, გ. გულუას ქუჩა #10

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, სასაზღვრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების კუთხით, 2019-2020 წლებში გადადგმული ნაბიჯების შესახებ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ირაკლი ბერაია



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA



MIA 3 21 00792665



31/03/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ ირაკლი ბერაიას

ბატონო ირაკლი,

2021 წლის №2378/4-8/21 წერილის პასუხად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის (შემდგომში-სასაზღვრო პოლიცია) მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ სამინისტროს სასაზღვრო პოლიციაში, 2019 – 2020 წლებში, სასაზღვრო ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

2019 წელი:

- საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარზე აშენდა სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ახალციხის სამმართველოს სასაზღვრო სექტორი - „ხრიანი“, მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა, განხორციელდა ელექტროფიცირება;
- საქართველო-თურქეთის რესპუბლიკის და სომხეთის რესპუბლიკის საზღვარზე აშენდა ახალციხის სამმართველოს სასაზღვრო სექტორი - „კატნატუ“, მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა, განხორციელდა ელექტროფიცირება;
- განხორციელდა ბათუმის სამმართველოს სასაზღვრო სექტორის - „სარფი“ დასაცავ მონაკვეთზე არსებული სასაზღვრო პოსტის - „ხობჩო“ ელექტროფიცირება;
- განხორციელდა თანამედროვე ელექტრონული დაკვირვების სისტემების (BOMS) მოწყობა შემდეგ სასაზღვრო სექტორებზე: წითელი ხიდის სამმართველოს სასაზღვრო სექტორი - „გუგუთი“; წითელი ხიდის სამმართველოს სასაზღვრო სექტორი - „კასუმლო“; ახალციხის სამმართველოს სასაზღვრო სექტორი - „სამება“;
- განხორციელდა სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ტერიტორიაზე არსებული ნავმისადგომის კაპიტალური რემონტი;
- ფოთში, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ტერიტორიაზე, აშენდა სათადარიგო ნაწილების საწყობი.



2020 წელი:

- საქართველო-აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე აშენდა სახმელეთო საზღვრის დედოფლისწყაროს სამმართველოს სასაზღვრო სექტორი - "ლეკისყურე", მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა, განხორციელდა ელექტროფიცირება, მოეწყო თანამედროვე ელექტრონული დაკვირვების სისტემა;
- საქართველო-რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვარზე აშენდა სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყაზბეგის სამმართველოს სასაზღვრო სექტორი - „ჯუთა“, მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა, განხორციელდა ელექტროფიცირება;
- საქართველო-რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვარზე აშენდა ყაზბეგის სამმართველოს სასაზღვრო სექტორი - „თრუსო“, მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა, განხორციელდა ელექტროფიცირება;
- საქართველო-თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე აშენდა ბათუმის სამმართველოს სასაზღვრო სექტორი - „ჩირუხი“, მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა, განხორციელდა ელექტროფიცირება;
- საქართველო-თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე აშენდა წითელი ხიდის სამმართველოს დასაცავ მონაკვეთზე (დავით გარეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე) სასაზღვრო სექტორი, მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
- საქართველო-თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე მიმდინარეობს სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ახალციხის სამმართველოს სასაზღვრო სექტორის - „ნიალა“ მშენებლობა.

ამასთან, სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის (შემდგომში-დეპარტამენტი) მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ დეპარტამენტი პერიოდულად ახორციელებს სასაზღვრო გამტარი პუნქტების ეფექტიანი მუშაობისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის/ინვენტარის განახლებას.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის
მოადგილე თათია ცეცხლაძე

